# ნიანგი

КОНТРОЛЬНЫЕ ЭКЗЕМПЛЯРЫ

13

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცემის 51-ე წელი, (№ 1431). ივლისი. 1974. ფასი 20 კაპიკი.



— ბიჭია?!
— ბიჭია, ბიჭი! სოფელში დამიბრუნდა!

ნახ. ე. ბერძენიშვილისა

# ცხოვრების გზის და საწყისთან

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ დავიწყე ფიქრი ჩემს მომავალ პროფესიაზე. მე თუ მკითხავთ, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მინდოდა ჩაბარება. ვფიქრობდი, დავამთავრებ ინსტიტუტს და ჩვენი სოფლის ჩამორჩენილ კოლმეურნეობას მხსნელად მოვევლინები-მეთქი, მაგრამ დედაჩემმა ეს რომ გაიგო, ჯერ შეიცხადა, მერე მთელი ჩვენი ნათესაობა მოიწვია და გახსნა თათბირი იმაზე, თუ რომელი ინსტიტუტის გზას დავდგომოდი. დედაჩემმა სტუმრებს ერთხელ კიდევ შეახსენა ჩემი მოკლე ბიოგრაფია... ოთხფურცლიანი რვეული გაათავა და დასძინა, რომ მას თურმე ჩემში, ჯერ კიდევ ადრე, ფილოლოგის დიდი ტალანტი აღმოუჩენია. ამის დასადასტურებლად მოიშველია ის ლექსები, რომლებიც მე შემითხზავს პატარაობისას. ასეც რომ არ ყოფილიყო, დედაჩემის აღმოჩენისა მაინც ყველას სჯეროდა, ვინაიდან მას გეოლოგიური ჰქონდა დამთავრებული, თუმცა არ მუშაობდა, ეს პროფესია ქალისთვის შეუფერებლად მიაჩნდა...

ბოლოს, როგორც იქნა, გაჭიანურებული თათბირი, რომელიც დასასრულს სასამართლო პროცესს დაემსგავსა, დამთავრდა და მე მომისაჯეს ფილოლოგიურზე ჩაბარება.

საბუთების შეგროვებას ერთი საათი მოვუნდი ექვსთვიანი სამუშაო სტაჟი ექვსთვიანი „ზავიკა“ რომ ყოფილიყო, გიყვარდეს, იმას ერთ საათში ჩავიხუჭუჭებდი, მაგრამ მუშაობა მუშაობაა! ასეა თუ ისე, სამი თვე კოლმეურნეობაში ვიმუშავე, მეტი დრო არ მეყო. მომცეს ცნობა და მიკრეს ქალაქში თავი.

როგორც ხედავთ, მუშაობის ცნობა მომცეს სრულიად სამართლიანად! — მასში გამორიცხული იყო სტაჟის გაცემის ისეთი თანამედროვე მეთოდები, როგორიცაა ნაცნობობა, ხოლო რაც შეეხება მექრთამეობას, მამაჩემი ძალზე წინდახედული კაცია და ხალხს რომ ჭორაობა არ დაეწყო, აქაოდა, ცნობაში ქრთამი მისცაო, თავმჯდომარეს წაეჩხუბა და დიდი ხნის განმავლობაში ხმას არ სცემდა. ამის შემდეგ მექრთამეობაც გამოირიცხა, რადგან ჯერ ისე არავინ გაგიჟებულა, რომ წაჩხუბებულ კაცს ფული მისცეს. ბოლოს, როგორც იქნა, ქალაქში ჩამოვედი და დავიწყე სამუშაოს ძებნა დარჩენილი სამუშაო სტაჟის შესავსებად. ერთმა ჩვენმა ნაცნობმა ერთი თავისი ნაცნობის ნაცნობობით ფოსტაში მიშოვა სამუშაო ფოსტალიონის თანამდებობაზე. მხარზე გადავიკიდე ფოსტალიონის ჩანთა და დავიწყე გაზეთების დარიგება. პირველ ხანებში საქმე კარგად წავიდა, ამიტომ ჟურნალების დარიგებაც მე მომანდეს, მაგრამ ამ ახალი მოვალეობის შესრულების დროს სასტიკად მიღალატა ბედმა: ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ ფოსტაში ერთმა ჩემსავით სტაჟის მაძიებელმა ახალბედამ ჟურნალებს ადრესატები აურია და მეც მათ ვურიგებდი. კანონიერი პატრონები კი კბილების ნერვული კაწკაწით მოელოდნენ გამოწერილ ჟურნალებს. მერე საჩივრებით მთელი საფოსტო დაწესებულება შესძრეს. ბოლოს ყველაფერი გამოირკვა, საერთო ბინის განრისხებულ მცხოვრებლებს ძლივს გადავურჩი ცოცხალი. ერთ-ერთმა გამწარებულმა მობინადრემ სკამიც კი მესროლა. სკამმა, ჩემი თავის მაგივრად, კარები გატეხა. როგორც ჩანს, ბედს ჩემზე მთლად არ აეღო ხელი, თორემ წავიდოდი მიქელ-გაბრიელთან და წავიღებდი წერილებით გატენილ ჩანთას, სადაც, ვინ იცის, რამდენ წერილში ეწერა: „ჩემო კარგო! უშენობა მომწყინდა, სულ იმაზე ვოცნებობ, შენს გვერდით როდის ვიხილავ თავს. ნახვის ნატვრით“ და ა. შ. გახარებული მიქელ-გაბრიელი ყველას თავისთან დაიბარებდა და იმათი ცოდვაც მე დამედებოდა კისერზე.

ამდენი დავიდარაბის შემდეგ გამოცდებზეც ჩავიჭერი და, სწავლაზე გულგატეხილი, ისევ მშობლიურ სოფელს დავუბრუნდი...

მეზობლები რომ მკითხავენ — „გოგო, რა იყო?! უმაღლესში მოწყობას რატომ ვერ ეღირსე?“ — მე ტუჩებზე სიმწრის ღიმილი მეფინება, თვალწინ მიდგება ქალაქში თავსგადამხდარი ტანჯვა, თვალზე ცრემლი ამიკიაფდება და ვპასუხობ — „ეჰ, რა ვქნა?! ვერ გავძელი ქალაქში, ჩემი მშობლიური სოფელი მომენატრა, თორემ უმაღლესში მოწყობა გამიჭირდებოდა?“

მოხუცებს სჯერათ ჩემი ნათქვამისა. აბა, რა იქნება, ნათქვამს რომ თავი დავანებოთ, ისინი ხედავენ ჩემს თვალზე მომდგარ ცრემლს, რომელიც მათ, ამ გულუბრყვილო ბერიკაცებს, სოფელს მონატრებული გულაჩუყებული ახალგაზრდის ცრემლი ჰგონიათ.

სოფიკო რეხვიაშვილი

ნახ. გ. ფირცხალავასი



— ეს არის სკამი? დავჯექი თუ არა, გატყდა!..
— თუ დაჯექით, აბა, რა მოუვიდოდა?!

ნახ. ჯ. ლოლუასი



— რას შვრები?! ამხელა კაცი ჯიბეში მიყოფ ხელს?!
— დამიხურეს ეს არტელი და რა ვქნა, აბა?!

ნახ. ვ. კუციასი



უსიტყვოდ

ნახ. გ. ფირცხალავასი



— რაღა მაგ გეჭდიან თითს აწონი, შვილო?!

## ალეგორია

ბატონი ყარამანი კარგ ხასიათზე მობრძანდა სამსახურში. გრძელი დერეფანი მდგომარეობის სრული ბატონ-პატრონის ნაბიჯით განვლო, რაც ამ კომბინატში უთვალავი წლის სტაჟმა გამოუმუშავა და საწერი მაგიდის რბილ, მბრუნავ სავარძელში მძიმედ ჩაეშვა. მას ფეხაკრეფით მოადგილე შემოჰყვა.

— მაინც რას არ წააწყდები კაცი ცხოვრებაში! — მიუსალმებლად მიმართა ბატონმა ყარამანმა. — ვინ იფიქრებდა, კაცო, ჰა, მდა... უდივიტელნო!

— რა მოხდა, ყარამან ყანთელიჩ?

— ვკითხულობ გუშინ გაზეთს შემთხვევით, აბა, ისე სად მაქვს დრო, და უცებ ამ ლექსს წავაწყდი, ჩვენი ახალი თანამშრომლის...

მოადგილემ სიტუაციაში გასარკვევი ჩლუნგი იერი მიიღო.

— რა მშვენიერი ალიონიაო, ბულბული სტვენით დაიღალაო, მზე იგვიანებს ამოსვლასო, ცისკარი აღმობრწყინდაო... მდაა, ისე, ნიჭიერი კაცია... საქმესაც აკეთებს და... ასეთები ნამდვილად უნდა დაწინაურდნენ. აბა, სხვები სხედან და სხედან ერთ ადგილას...

ყარამან ყანთელიჩმა მრავალმნიშვნელოვნად გადახედა მოადგილეს. მოადგილე ნაბულზე შემდგარი მეძებარივით გაილურსა.

— დიახ, ყარამან ყანთელიჩ, უდავოდ ნიჭიერია... ისე ოსტატურად აქვს ბუნების სიმშვენიერე აღწერილი, მთელი სიმფონიაა, მაგრამ მთავარი მაინც ალეგორიაა...

— რა ალეგორია?

— ბულბული სტვენით დაიღალაო... დიახ, პირდაპირ იკითხება, რომ ბევრი და დიდი ხნის მუშაობის შემდეგ, აღარ შეუძლია გალობა ამ უპირველეს მგალობელსო, ე. ი. უნდა მოხსნანო...

ნატყორცნი მიზანს მოხვდა. დირექტორი სავარძლის ზურგზე გადაწვა.

— დიახ!.. მზე იგვიანებს ამოსვლასო. სიახლე მზის ამოსვლასთანაა დაკავშირებული და იგი ელის ახალი მზის აღმობრწყინებას...

დირექტორმა ფანქარიააკაკუნა მაგიდაზე.

— დაბოლოს, თქვენ, რასაკვირველია, ამას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ, ყარამან ყანთელიჩ, ცისკარი აღმობრწყინდაო... ე. ი. ცი... ცი...

— ციცინო? ჩემი მდივანი?

მოადგილემ ცბიერი და ბრძენი ვეზირის ღიმილით გაიქნია თავი.

— ცი... ცი...

— ციც! — თითი დაუქნია დირექტორმა.

— დიახ, ყარამან ყანთელიჩ, მე არ მინდოდა მეთქვა, ციხე! ციხე!

ყუმბარა აფეთქდა.

„პოეტი“ იმავე დღეს გაათავისუფლეს სამსახურიდან.

ზ. ციხისთავი

## რატომ დაარქვეს ექსპრესი?

(ექსპრესი „თბილისი—აეროპორტი“)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიდედრის ავადმყოფობა
მაცნობეს ელვა დეპეშით!..
გონი დაჰკარგა მეუღლემ,
წყალი ვასხურე ჯერ პეშვით,
მერე ნიშადურს ვასუნთქე,
აქშინდა დაჭრილ ლომივით,
ყურებს ვუწევდი, თან ვჩქმეტდი
და ვზელდი ხინკლის ცომივით.
ბოლოს მოლარეს მივმართე,
გამოვიგლიჯე ყანყრატო...
ვეხვეწე! ღმერთმა უშველოს, —
ბილეთი მოგვცა სასწრაფოდ.
— „საათში თუ ვერ მოასწრებთ
აეროდრომზე გაჩენას,
თავს დააბრალეთ! ბილეთი
ხახვივით ხელზე დაგრჩებათ!“
მივვარდი... იქვე ექსპრესი
ჩამომდგარიყო იღბლადა,
შოფერი, პატრონტაშივით,
წელზე ბილეთებს ირტყამდა.
გზას გავუდექით. მანქანა
ატოკდა მთვრალი კაცივით,
მაგრამ ვიღაცამ ჩვენს შოფერს
დაუსისინა ბატივით.
გაჩერდა, ფეხი მიადგა
გაქირ-გაწეულ ჯორივით,
უცდიდა, ელოდებოდა
ყოვლისმომთმენი ცოლივით.
ლამის ილაჯი გაგვიწყდა
იმ ღიპიანის ლოდინში,
მოვიდა, ნომერს შეხედა
და მერე გვითხრა ბოდიში.
თუ ვინმეს დაინახავდა,
ჩამოყუდებულს ქუჩაში,
დასვამდა, მერე ხურდა ფულს
აჩხრიალებდა მუჭაში.
აგვევსო ჯავრის ფიალა,
ბოლმა მოგვაწვა ყელამდე,
ასჯერ გააღო კარები
ნავთლუღის მოსახვევამდე.
ბოლოს ვუთხარი: „ძმობილო,
მანქანაა თუ ურემი?!“
თქვენც არ მომიკვდეთ! წამითაც
არ შეიბერტყა ყურები!
ხან რომ გზას გადახედავდა,
ხანაც რადიოს უსმენდა,
პირზე ნათელი ღიმილით
„მეფაიტონეს“ უსტვენდა.
თვითმფრინავს, ცაში აფრენილს,
თვალი შევასწარ ლილოსთან...
შოფერს შევძახე: „გვეყოფა,
აქ გაგვიჩერე, შვილოსა!“
დავბრუნდი. ცოლი მომდევდა
წყევლის აკომპანემენტით,
სიდედრის სადღეგრძელებლად
ხელში მეჭირა ბილეთი.
მატარებლით წავედი,
იქვე დავწერე ეს ლექსიც...
ნეტა, ვიცოდე, ავტობუსს
რატომ დაარქვეს ექსპრესი!?

ვალერიან მამუკელაშვილი

ნახ. მ. აბაშიძისა



— რაკი მანქანა იყიდე, იატაკს გაწმენდა აღარ უნდა, ხომ?!



— ღამე როგორ გძინავს?
— კარგად! რატომ მეკითხები?
— მინდოდა გამეგო ფული თუ გქონდა!



— დახლქვეშიდან ზედმეტ ფასად რომ გვაძლევს საქონელს, თქვენი მაინც უნდა ეშინოდეს!
— თუ შევაშინე და დავიჭირე, მერე რაღას მოგვცემს?!

## ქარაგმული ნაკვესები

● ნარის გლეჯა სხვისი ხელით უყვარდა, ყვავილებისა — საკუთარით.

● მთელი დღე რომ ამთქნარებ, ლამე რას აკეთებო და... — სიზმრებს ვუყურებო.

● სინდისი ჰუჰყიანი ჰქონდა და არ სჯეროდა: თუ ასეა, სინდისგარეცხილს რად მეძახიანო?

● მგელს მონადირისა არ ეშინოდა: ნაკრძალში ვარო. კურდღელს კი ორივეს შიშით გული უსკდებოდა.

● ცოლმა კურორტზე წასვლა მოისურვა და ქმარიც ც ე მ ი თ გაუმასპინძლდა.

ანზორ ჯალიაშვილი

**კიბეები** უხმაუროდ ავიარე... გულს გამალებით გაჰქონდა ბაგაბუგი... ღილაკს თითი დავაჭირე... შევამჩნიე, როგორ გამოიჭვრიტა მუხის სქელ კარში დატანებული სამზერიდან ვიღაცის თვალმა, შემდეგ კარი მძიმედ გაიღო...

— დედა, ეს ჯონია!

— შემოდით'

— მამა შინ არის?

— ოქროპირს უყურებს.

მე დარცხვენილი ჩავშტერებოდი იატაკს.

— სადაური ხარ, ყმაწვილო?!

— ახლა სტუდქალაქში ვცხოვრობ, ბატონო! ისე ლიხაინდრაოდან ვარ!

— მდაა! — თქვა მან ისე, რომ ტელევიზორისთვის თვალი არ მოუცილებია. — მერე?

— მე და მზიას...

— მამა, ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს! ჯონდო ჩემი ხელის სათხოვნელად მოვიდა!

— ნუ ტლიკინებ ბევრს! თუ ენა აქვს, თვითონ ხელის მთხოვნელმა ილაპარაკოს!

ახლა ალმაცერად გადმომხედა.

— სად სწავლობ?

— პუშკინში, ისტორიულზე.

— შიმშილით განდა მომიკლა დედისერთა გოგო?

— მამა! — იკივლა მზიამ.

— გადი გარეთ!!! — იღრიალა ბონდომ.

მზიამ კარები გაიხურა... დავრჩი პირისპირ ამ დევივით კაცთან. გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო... და ავლაპარაკდი.

— რატომ მკადრებთ, ბატონო?! ახლა მეხუთე კურსზე ვარ, შემოდგომაზე დიპლომს დავიცავ, ვიმუშავებ, მზია სახელობითი სტიპენდიანტია. ასე, რომ, ცხოვრება არ გაგვიჭირდება. ხომ გაგიგონიათ, მოსიყვარულე ცოლ-ქმარმაო...

— რა ზღაპრებს მიყვები, შე ლლაპო! — აფეთქდა ჩემი მომავალი სიმამრი, — მე თვეში ოთხასი მანეთი შემომაქვს ოჯახში, მაგრამ არ გვყოფნის! შენ სტუდქალაქში გინდა ამოახრჩო ჩემი ხელისგულზე ნალოლიავები შვილი?

მაგრამ სიყვარული ყველაფერს ამარცხებს... ჰოდა, მესამე დღეს, მზიას ოჯახმა ასეთი შინაარსის დეპეშა მიიღო: „მე ჯონის გავყევი, ნუ იჯავრებთ! მოგვილოცეთ გაბედნიერება! გკოცნით!“

შემდეგ რა მოხდა, მკითხველო? ერთ დილას მაინც თუ მოხვდებით თბილისში, არაყიშვილის ქუჩაზე, არ შეიძლება, არ შეამჩნიოთ ჭაღარაშერეული, ზორბა მამაკაცი, რომელსაც ხელიხელჩაკიდებული მიჰყავს ორი ტყუპი. სად აღარ დაჰყავს — ზოოპარკში, ცირკში, კარუსელზე, ფუნიკულორზე... ხელიდან ვერ აგდებინებენ. იმათი შემხედვარე ყველა ამბობს: ნეტაი, თქვენს მშობლებს ასეთი ანგელოზები რომ ჰყავხართო. ერთს, სიდედრის პატივსაცემად, ქეთევანი დავარქვით, მეორეს კი — თინათინი, ასე ეძახდნენ ცხონებულ დედაჩემს.



ამბობენ, კვიცი გვარზე ხტისო... გავა დრო, დაიზრდებიან გოგოები და, ვაითუ, ერთ მშვენიერ დღეს, მეც მივიღო ელვა დეპეშა რომელიმე ქალიშვილისაგან: „მამიკო! მოგვილოცეთ გაბედნიერება!“

— მერედა, კარგია ეს?

თქვენ როგორ ფიქრობთ, ძვირფასო მკითხველო?!

**თამაზ ჭეიშვილი**

ნახ. ა. კანდელაკისა



— ეს კაცი ვერაფრით ვერ მოხსნეს და მისი კაბინეტი ნგრევაში მოაყოლეს!

ნახ. ზ. ლეჟავასი



— ბიჭო! შენ კიდევ არ დაანებე თავი ბრაკონიერობას?!

— როგორ არ დავანებე, უფროსო?! ესენი იხრჩობოდნენ და გადავარჩინე!..

## ბიუროკრატების ცხოვრების ფინალი

მან კიბეებზე
უფრო სწრაფად ჩამოირბინა,
ვიდრე ავიდა!
ზურგსუკან მოსდევს
საქაღალდე,
დაფნა,
მაგიდა!..
მიიპარება
კედელ-კედელ,
ჩუმ-ჩუმად,
მალვით,
რათა დაფაროს...
პანღურის კვალი!..

ვანო ჩხიკვაძე

# რატომ უნდა დავკარგოთ ერთმანეთი?

გააჭირვეს საქმე!.. კაცი ნათესავთან ვერ მისულხარ, ამ წყეული მისატანის გარეშე!.. ყველა ხელში გიყურებს!.. ამას წინათ ბონაპარტე ბიძიას ვესტუმრეთ შვილის უმაღლესში მოწყობის ათი და დიპლომის აღების ორი წლისთავზე. მე ჩხართვის ბარტყივით პირდაღებული ფეხსაცმელი მაცვია და მის კრეტინ ბიჭს ჩეხური „ველვეტები“ მივუტანე, თან წელში ცხრაჯერ მოვიხარე ბოდიშის მოსახდელად. („ველვეტების“ კი არა, კალოშის ღირსიც არაა ის უქნარა!). ცუცუნია ბიცოლას, შარლოტას ნოლ ჯგუფში ჩარიცხვისადმი მიძღვნილ ნადიმზე, შესანიშნავი „პლატფორმები“ ვუფეშქაშე.

ჩემი მეზობლის ცხვირმოუხოცელ ბავშვს რამდენ დაბადების დღეს გადაუხდიან, იმდენჯერ ვიწყევლი დაბადებას. ოცდაათ მანეთ ნაკლებ ვერსად მივდივარ. ამ ხალხს მე მილიონერი ხომ არ ვგონივარ? ჩემი ხელფასის პატრონს აქეთ უნდა ეხმარებოდეს კაცი!

— ზეგ ჩემს დეიდაშვილს, კუწოს, აცილებენ ჯარში! — მითხრა გუშინწინ მეუღლემ.

— მამაჩემი ფრონტზე წავიდა და სულ არ დაბრუნებულა, მაგრამ კუწოს მამას არ მოუკლავს თავი! — ბრაზი ყელში მომაწვა მე.

— არც ფლორენცია მამიდას მივულოცოთ დაბადების დღე? — არ მომეშვა ცოლი, — გახსოვს, ჩვენს ქორწილზე რა მოგვიტანა?

— წაიღოს უკან და მომეშვას! — ვიყვირე შეშინებულმა იმით, რომ გაბღენძილ ფლორენციას, ვიცოდი, ჩემი ნახევარი თვის ხელფასი შეეწირებოდა.

— მინადორა ბიცოლა რომ. ათი წელი არ გვინახავს და ახლა გოგოს ათხოვებს, იქაც შევირცხვინოთ თავი?

— რა მივუტანოთ?

— ბროლის ვაზები!

— ქიგული არ აჯობებდა? — გამოვედი მოთმინებიდან.

— კი, ბატონო, დავკარგოთ მოყვრები, ნათესავები, ახლობლები და ვიყოთ ყველასგან გამოწყვეტილები! — მეორედ შეიცხადა ჩემმა მეორე ნახევარმა...

გადამრევს ეს ხალხი! ვეღარ გამიგია, ნათესავი ნათესაობისთვის უნდათ, თუ მისატან-მოსატანისა და დალევისათვის?! სულითა და გულით მინდა ვესტუმრო ცოლის ძმის ნათლიას, ცოლისდის მონათლულს, ბიძაშვილის სიდედრ-სიმამრს, დეიდაშვილის დედამთილ-მამამთილს, ძმის ქვისლებს, დის მულებს, ბიძაშვილ-მამიდაშვილების რძლებისა და სიძეების მოყვრებს, ჩემს ახლო ნათესავებს, მეგობრებს, მაგრამ ამდენ მისატანს როგორ ავუთავდე?

ადამიანებო! მე თქვენ მიყვარხართ ხელცარიელნიც და თქვენ თუ მოსატანისათვის გიყვარვართ, ფეხდაბიჯებული არ დაგინახოთ ჩემსას!..

ნუთუ, ამ უბრალო მიზეზით უნდა დავკარგოთ ერთმანეთი?

ვანო ცინცაძე

ნახ. ა. ერაძისა



— მიდი, ნუ გეშინია, მაინც ვერაფერს ხედავს!

## ანონიმური დიდოსტატი

საწერი გამოელია ანონიმების დიდოსტატს:
არ იცის, თავს ვის დაატყდეს, ახლა გული ვის ატკინოს...

ხან მიჩერჩეტდა პეტრესთან, ხან იყურყუტა დიტოსთან,
ყური ვერ მოჰკრა, ვერ იგდო ხელში მცირედი საკბილოც.

დგას ფანჯარასთან მდუმარედ, ქუჩას მოწყენით გასცქერის,
ბოღმისგან გული უსკდება, გამოლევია საწერი.

კალამი აღარ წრიპინებს, ქაღალდი აღარ შრიალებს,
ხან აქლემივით ამთქნარებს, ხან ტანში გააჟრიალებს.

ჯავრობს და ნაღვლობს ბედშავი!.. საცაა, ლამის გაგიჟდეს,
უსტვენს, სისინებს, უბეში თითქოს გველები უზისო.

მერე, უეცრად, ქუჩაში თვალი შეავლო აფიშებს
და სიხარულით კინაღამ სისხლი ჩაექცა უსისხლოს.

დაჯდა. დაწერა. დაგესლა კლუბის უბრალო მხატვარი:
„წერა არ იცის, შტერია, ტყუილად იღებს ჯამაგირს,

„კ ო ნ ც ე რ ტ ი ს“ ნაცვლად „ო ნ ც ე რ ტ ს“ წერს! კლუბის უფროსი სად არი?
არამი იყოს ამ ხალხზე ჩვენი მთავრობის ამაგი!“

დასცხო. დაშხამა. დაბეჭდა. დაკეცა. ჩადო კონვერტში.
გაგზავნა. დაცხრა. თითქოსდა, მზეს ყინულეთი გაელღო...

* * *

იქ კი იმიტომ ეწერა „შ ე ც დ ო მ ი თ“ სიტყვა „კ ო ნ ც ე რ ტ ი“, —
ქარს გაეხია აფიშა და ერთი ასო წაეღო.

ალექსანდრე ტაბატაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ცნობილ** ქართველ მწერალსა და ჟურნალისტს — **ვლადიმერ თორდუას** დაბადების 60 წლისთავი შეუსრულდა.



## ვლადიმერ თორდუას

გაქვს... ოქროს ავტოკალამი!..
ბევრჯერ გაქეს და გადიდეს!
„ნიანგის" რედმოადგილემ —
ავკაცებს ბდღვირი ადინე!

სამოცი წელი მოთხრობით,
ნარკვევით გადინადირე!
ყოველთვის ყოფილიყავი
ასეთი ნაღდი, ვლადიმერ!

მეგობრული შარჟები თენგიზ გოგოლაძისა

**ცნობილ** ქართველ პოეტს, დრამატურგსა და იუმორისტს — **ოთარ მამფორიას** დაბადების 50 წლისთავი შეუსრულდა.



## ოთარ მამფორიას

მე ბედნიერი კაცი ვარ მაშინ,
დიდებულ ოთარს შევხვდები როცა!
იგი მტერია მოსყიდულ ტაშის!
მამულს ბრწყინვალე ლექსებით ლოცავს!

აქვს იუმორი ლაღი და ბრძნული!
„მამფორიზმები" მოგხიბლავთ მისი!
წერს კომედიებს! ჰგონია ნურვის,
რომ დაისვენა „მეტეხის ჩრდილში"!

„ნიანგის" დავალებით ზაურ გოლქვაძე

# ვეკითხებით — არ გვპასუხობენ!

*ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ* ბევრი სახელიანი და უსახელო აღმართია. ამ უკანასკნელთა რიცხვს მიეკუთვნება ვეძისის დასახლება. ვაზისუბნის, მგალობლიშვილის, ოდესის, ლვოვის, ტაშკენტისა და სხვა ქუჩებზე ჯერ არც ერთი გამოჩენილი პიროვნება არ დაბადებულა, მიუხედავად შესანიშნავი ბუნებრივი პირობებისა, და კარგა ხანსაც არ დაიბადება, რადგანაც ჩვენი ცხოვრების ამ ეტაპზე, აქ მცხოვრებთა წარმოებისგან გამოთავისუფლებული დროის დიდი ნაწილი ისეთ უბრალო ნივთებზე ფიქრს მიაქვს, როგორიც გახლავთ მარილი, შაქარი, საპონი, კარაქი, საჭმლის ზეთი, არაჟანი, „ყველეული" და სხვა ყოველდღიური მოთხოვნილების პროდუქტები. „კარგ ადგილას" მცხოვრებ მოქალაქეთათვის მათი შეძენა არც საფიქრებელია და არც პრობლემა.

განა თავიდან ასეთ დღეში ვიყავით? ჩვენი უბნის უფროს თაობას მარილისთვის აღზევანს წასვლა სულაც არ სჭირდებოდა: ჩაირბენდა მგალობლიშვილის ქუჩაზე და ამოირბენდა თავის ქუჩაზე, მარილით ხელში. როცა ამ ოთხი წლის წინათ მგალობლიშვილის ქუჩაზე სასურსათო მაღაზია (ერთადერთი მთელს ვეძისში!) დაგვინგრიეს, ჩვენი უბნის უმცროსი თაობის წარმომადგენლები ფიზიკურად მოუმზადებელნი შევხვდით ამ დატვირთვას. მარილისთვის პეკინის ქუჩაზე, დაახლოებით ერთი კილომეტრი იქით (დაღმართი), ხელცარიელი კაცისთვის ადვილია, მაგრამ დაახლოებით ერთი კილომეტრი აქეთ (აღმართი) მარილითა და სხვა სანოვაგით დატვირთული კაცისთვის იოლი არ არის! ამაში დარწმუნებაც სულ ადვილად შეუძლიათ დაინტერესებულ პირებს, საჭიროა მხოლოდ იქ რძისა და რძის პროდუქტებისთვის საათიან რიგში დგომა.

— რატომ გვინგრევთ მაღაზიას?! — ვკითხეთ მნგრეველებს.

— ჩვენ მნგრეველები ვართ, მშენებლებს ჰკითხეთო.

მნგრეველები წავიდნენ და მშენებლები მოვიდნენ. ახლა მშენებლებს მივმართეთ.

— ჩვენ მშენებლები ვართ, ეგ მნგრეველებისთვის უნდა გეკითხათო, — გვიპასუხეს.

— ამხელა უბანს უსურსათოდ როგორ დატოვებენო, — დაგვაიმედა ვიღაცამ და ჩვენც ვირწმუნეთ. ოთხი წლის განმავლობაში ჩვენს შეკითხვებზე: — „მაღაზია გვექნება თუ არა?" — მშენებლები დაახლოებით ეტრუსკების რომელიღაც დიალექტზე, ფრიად გაურკვევლად, გვპასუხობდნენ.

აშენდა მაღალი შენობა და ვის დაკარგვიხარ?! ვის ახსოვხარ?! რა მაღაზია?! რის სურსათი?!

ქვემოთ კი, პეკინის ქუჩაზე (გაგარინის მოედანთან), ერთადერთ გასტრონომში დილით იმოდენა რიგი დგას, რომ ფრიად ლიბერალი უფროსიც კი არ გაპატიებს სამსახურში ამდენ დაგვიანებას. მართალი ბრძანდებით: ჩვენს უბანში არ ცხოვრობს არც ერთი შრომის გმირი, არც ერთი წარმოების ნოვატორი და მოწინავე მშენებელი! მიზეზი? მაშინ, როდესაც სხვები სასახელო მაჩვენებლებს აღწევენ, ჩვენ პურის, მარილისა და მაწვნის (განსაკუთრებით მაწვნის!) რიგში ვდგავართ...

ვეძისის ერთი ნაწილი, ისე, როგორც უმეტესობა თბილისის ქუჩებისა, ასფალტირებულია. ისე, როგორც უმეტესობაზე თბილისის ქუჩებისა, ყოველ წელიწადს აკერებენ ასფალტს. გარემონტებული ასფალტი საიმედოა და, თქვენ წარმოიდგინეთ, რამდენიმე თვეს სძლებს. თბილისის ყველა ქუჩაზე აკერებენ ასფალტს, გარდა ვაზისუბნის ქუჩისა. გული გაგისკდება კაცს: შეარემონტებენ მგალობლიშვილის ქუჩას და ზედ ვაზისუბნის ქუჩის დასაწყისთან შეწყვეტენ რემონტს!..

თუ რატომ იქცევიან ჩვენი გზის მესვეურები ასე უცნაურად, თვით ვაზისუბნის ქუჩის იმ გამოცდილ მცხოვრებლებსაც ვერ ამოუხსნიათ, რომელთაც ათასი უცნაურობანი ახსოვთ და ახლა უამრავი არასერიოზული ილეთის გაკეთება სჭირდებათ, რათა ვაზისუბნის ქუჩის ორმოებში ფეხი არ ჩაუვარდეთ.

მოგვხედეთ, თორემ ვაჭრობისა და კომუნალური მეურნეობის მუშაკებისადმი ვეძისელთა სიყვარულს საფრთხე ემუქრება!

საფრთხე ემუქრება ვაჭრობაში გეგმის შესრულებასაც!

*რ. არაჩემია*

ნახ. გ. ფირცხალავასი



— შენ რამდენი გაატარე?

## პროტექცია

დღეობაში გაცნობილმა
სამი შვილი მომაყენა:
— ეს ინჟინრად!
— ეს ექიმად!
— ჟურნალისტად!
მიდი შენა!
მხოლოდ შენი იმედი გვაქვს,
უნდა მისცე ყველას ვიზა!
თუ ეს საქმე არ გამოვა,
მე არ ვიცი, რაღას ვიზამ!
უნდა შესძლო! მე არ ვიცი!
უნდა შესძრა ცა და მიწა!
ტყუილად ხარ ჩემი ბიჭის
ნათლიის ძმისცოლის ბიძა?
ქაქანით და ლაპარაკით
ლამის ყბები მოექცია.
— კაცო, თავი დამანებე,
აღარ გადის პროტექცია!..
ყველა ძმაკაცს დავურეკე:
— შენ იმედად მეგულები!..
მაინც ვეძებთ პროტექტორებს
ენაგადმოგდებულები.

შოთა ხოდაშნელი

# ალო, გისმენთ!...

— ალო! „ნიანგის" რედაქციააა?

— დიახ, გისმენთ!

— ჩვენ საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდის მცხოვრებნი გაწუხებთ! უკვე ოთხი წელია, რაც სოფელში ლამპიონები დააყენეს, ტრანსფორმატორისათვის განკუთვნილი შენობაც ააშენეს. ერთი სიტყვით, ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ გზა გაგვნათებოდა, მაგრამ არ იქნა და არ აინთო ჩვენი ნანატრი ლამპიონები. დღე ავ თვალს აბრმავებს და ღამე კი — ჩვენ. გასაგებია?

— ყველაფერი გასაგებია! შეიძლება მოგინახულოთ!

— თუ ჩამოხვალთ, ბევრ სხვა რამესაც ნახავთ საკვირველს, აუცილებლად დღე იმგზავრეთ, თორემ ღამე კისერს მოიტეხთ!

— კარგი, გავითვალისწინებთ!

* * *

— ალო! ალო! პატივცემულო ნიანგო! საქვეყნოდ განთქმულ კურორტ მენჯიდან გირეკავთ!.. კარგად გესმით?

— ჩვენ კი გვაქვს კარგი სმენა, მაგრამ ტელეფონში ცუდად ისმის!

— რა გაეწყობა! როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო... აქ, ამიერკავკასიის რკინიგზის ბალნეოლოგიური სავადმყოფოს შენობაში, პირველ სართულზე რკინიგზელთა მომსახურებისთვის გამოყოფილია ორი ოთახი, რომელიც გამოყენებულია სავაჭრო ფარდულად. შიგ ისეთი სიბნელეა, რომ არაფერი ჩანს. პროდუქტის ხარისხი და ფასი კი არა, გამყიდველიც არა ჩანს, ჰოდა, ასე ბნელ ფანჯარაში შეყოფ ხელს, ეტყვი, რაც გინდა და გამყიდველი პროდუქტს მოგაწოდებს, შენ კი ფულს მიაწოდებ, საკუთარი თვალით ვერაფერს დაინახავ, სანამ სახლში არ მიხვალ და გახვეულს არ გახსნი.

— კი მაგრამ, ფარდულს არც ვიტრინა აქვს?

— ვიტრინაზე ლაპარაკიც კი სიცილს იწვევს, არ გვამარაგებენ აუცილებელი საქონლით, მინერალური წყალიც გვენატრება. ყოველივე ეს სამკურნალოდ ჩამოსულთა სამართლიან გულისწყრომაში გადადის...

* * *

— ალო! ალო! ბიძია ნიანგო! მე თემქის დასახლების III მიკრორაიონში მდებარე № 80 ბაგა-ბაღის აღსაზრდელი ვარ.

— გისმენთ, გისმენთ, ჩემო პატარავ!

— გულისტკივილით მინდა შემოგჩივლო, რომ რაც კეთილმოწყობილი ბინა მივიღეთ, მის მერე ჩემი საყვარელი ძილისპირული არ მომისმენია, რამდენი ახალი ზღაპარი ითქვა, ალბათ. არ მინდა, ვინმემ თქვას, რა გატლეკილიაო. შეიძლება, შეგეკითხოთ?

— როგორ არა, გისმენთ!

— რატომ არ არის თემქის დასახლების III მიკრორაიონში რადიოსატრანსლაციო ქსელი? გთხოვთ, დაგვეხმაროთ და გამოგვიყვანოთ, ან ისევ ძველ ბინაში დაგვაბრუნოთ!

— მალე გამოგიყვანთ, ჩემო პატარავ, რადიოქსელს, მალე!

— ნახვამდის, წინასწარ მადლობას გიხდით!

* * *

— ალო! ნიანგია?

— დიახ!

— ჩვენ თბილისის ლენინის რაიონის პროლეტარის ქუჩის მცხოვრებთა სახელით გაწუხებთ და გთხოვთ, რომ რადიო...

—რა? თქვენც არა გაქვთ რადიო?

— რადიო კი გვაქვს, ოღონდ არ მუშაობს... მთელ ქუჩაზე არ მუშაობს... პირველი ნომრიდან 111-მდე. გასული წლის 2 ნოემბრის შემდეგ არ მუშაობს... ვის არ მივმართეთ, მაგრამ არაფერი გამოვიდა. დაგვეხმარებით?

— დაგვეხმარებით, დაგეხმარებით!


მთავარი რედაქტორი
ზურაბ გეგაჩაშვილი

სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (პ/მგ. მდივანი), ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ), გ. ნიშნიანიძე (მთ. რედ. მოადგილე) ნ. ზვერიძე, გ. ფირცხალავა, ო. ჭელიძე, ⊙ სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი". ⊙ ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი, ⊙ თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ⊙ გადაეცა ასაწყობად 11/VI-74 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/VI-74 წ. ქაღალდის ზომა 70×108¹/₈ ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,4 ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ⊙ შეკვ. 2311. უე 01821. ტირ. 136.000. ⊙ Тбилиси, пр. Руставели № 42, Сатирико-юмористический журнал «Нианги». ⊙ Издательство ЦК КП Грузии. ⊙ Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32.

ნახატი თემების ავტორები: თ. ფხიკაძე, მ. მდივნიშვილი, ქ. პატიაშვილი, ვ. კუცია, ვ. ულენტი, ა. ადეიშვილი, ა. ერაძე, ზ. გოფოძე, მ. აბაშიძე.

**გლაზგოში,** პოლიციისა და სკოტლანდ-იარდის აგენტების გაძლიერებული დაცვით, ჩილეს ხუნტის წარმომადგენლებს გადაეცათ რაკეტებით აღჭურვილი ორი ფრეგატი, რომლებიც ააგეს ინგლისის გემთსაშენებში.



„წყალთან თამაში“

ეროვნული ბიბლიოთეკა